

"საუბარი იმაზე, რომ მათა ოთინაშვიდი კარგ პირობებშია, არასერიოზულია"



**შერიგებისა და სამოქალაქო
თანასწორობის საკითხებში
სახელმწიფო მინისტრი
ქეთევან ციხეაშვიდი მათა
ოთინაშვიდის დაკავების
საქმეს ეხმაურება და
აცხადებს, რომ დაკავებული
ქალი უნდა გათავისუფლდეს.**

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „წითელ ჯვარს“ ჰქონდა დაკავებულის მონახულების შესაძლებლობა და ეს ინფორმაცია მიაწოდა ოჯახს. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ გარკვეული ინფორმაცია გავრცელდა ოსური საინფორმაციო საშუალებებითაც. რა თქმა უნდა, საუბარი იმაზე, რომ ის კარგ პირობებშია და დამის კომფორტულად არის, ეს უკვე სერიოზული არ არის და ძალიან სამწუხაროა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის, რომ მათა ოთინაშვიდი გათავისუფლებული იქნას რაც შეიძლება მალე. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ცხადია, ყვედასთვის და პირველ რიგში ოჯახისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია და ამასვე ინფორმაცია გარკვეულწილად მიღებულია, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მთავარი არის ის, რომ ის იქნას გათავისუფლებული.

ასევე ჩვენი ინტერესია, რომ ადამიანებს საკუთარ სახლში და ბაღში ჰქონდეთ გადაადგილების შესაძლებლობა, რომ ოსებსა და ქართველებს, ამ ხელოვნური მავთულხბრთებისა და ბარიკადების ორივე მხარეს, ერთმანეთთან მისვლის გზები და გადაადგილების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამასთან, ჩვენს ინტერესშია, რომ მსგავსი აბსოლუტურად მიუღებელი ფაქტები არ ხდებოდეს. ამისთვის ყვედანაირი მუშაობა

გაგრძელება“,- განაცხადა ქეთევან ციხეაშვიდმა.

სააგენტო „სპუტნიკ ოსეთია“ საოკუპაციო რეჟიმის მიერ დაკავებული მათა ოთინაშვიდის ვიდეომასაღა დღეს გაავრცედა. ცხინვარის მედიასაშუალებები წერენ, რომ „მათა ოთინაშვიდი ჯანმრთელობას არ უჩივის“ , ის ცხინვარის ციხეში ოსმა უურნარისტებმა მოინახუდეს .მათა ოთინაშვიდი ცხინვარის იზოლატორში „წითელი ჯვარის“ წარმომადგენლებმაც მოინახუდეს .

რუსმა სამხედროებმა საოკუპაციო ხაზთან გორის რაიონის სოფელ ხურვარეთში მცხოვრები 37 წლის ქალი 29 სექტემბერს დააკავეს. ცხინვარიდან მიღებული ბოლო ინფორმაციით, მათა ოთინაშვიდს 10-დღიანი ე.წ. წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.